

572 /2  
1987

ISSN 0132-5965

ଓଡ଼ିଆରେ  
ବ୍ୟାକ୍





## გაღმა გელგარეთის

ვინც საქართველოს ზღვისპირეთში ყოფილა, იმან უსათუოდ იცხის, როგორ გიზიდავს ლურჯი, უკიდევანო, იდუმალი უსაზღვროება, როგორ გინდა, თვალი დახუჭო, თოლიასავით ცაში აიჭრა, ხომალდებს გაუსწროდა ნახო, რა არის ჰორიზონტის მიღმა, ქართული ნაპირის გასწვრივ...

და აი, გაღმა ნაპირიც — ოქროსფერი, თბილი პლაუი... მზეს მიფიცხებული პატარა, კოხტა სახლები და თითქოს დარაჯად დამდგარი პილნების რიგი, რომელიც ფერად-ფერადი აღმების ტკრციალით გეგებება... „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ბულგარეთში!“ — გაისმის ბავშვების კუინა და სტუმარს

ა ასეწინათ უურნალ „დილის“ რედაქტორი სტუმრად გეგეწვია ბულგარეთის საბავშვო უურნალ „დრუჟინას“ მთავარი რედაქტორი ივან ციცელოვანი. ჩვენ შევთანხმდით, რომ 1987 წელს ერთმანეთს გავუცვლიდით ნაკვევებს — ის ბულგარეთის შესახებ მოგვაწვდიდ მასალას, ჩვენ საქართველოში უამბობდით ბულგარელ ბავშვებს. და აი, ჩვენი უურნალების მე-8 ნომრები. „დრუჟინა“ აქვეყნებს ნაკვევებს საქართველოში; ჩვენ გაგაცნობთ უურნალისტების მარია დიმიტრივას და რადიოსტინა ივანოვას, ფოტოსელოვან ნიკოლაი ჩეჩინის ერთობლივ ნაშრევას.

გარს გეხვევიან გიორგი დომიტროვის სახელმძის საერთაშორისო პიონერთა ბანაკის დამსვენებლები. „მობრძანდით, აი ჩვენი სამშობლო“. გეპატრიუებიან ისინი ბულგარეთის გასაცნობად.

„ბანაკიდანაც კი მოჩანს საზღვაო კურორტის — ალბენას სასტუმროები... ალბენა: ქალიშვილის სახელია—ბულგარული ლეგენდებიდან და თქმულებებიდან მოღწეული...“

ექით. ოციოდე კილომეტრის მანძილზე. შავი-ზღვისპირეთის მარგალიტი — ბულგარეთის საზღვაო დედაქალაქი — ვარნაა. მაგრამ ვიდრე ვარნაში ჩახვიდოდე. კიდევ ერთი საკურორტო კომპლექსი შემოგანათებს თავისი ოქროსავით მბრწყინავი რბილი სილით.

ვარნა სიდიდით მეორე ნავსადგურია ბულგარეთში. მისი ფართო, მარმარილოს მოედნები. მწვანე პარკები და ქაონია სანაპიროები მრავალი სამასხვრო ადგილია აქ, მთებში, მაგრამ ცველა ბულგარელისათვის წმინდათაწმინდა არ მათგანი. ბუზლუგის მწვერ-

ვალ ტურისტს იზიდავს. ბავშვებისათვის კი დიდი სიხარულები აქაური დეფინირებული.

ასლა სანაპიროს გავცდეთ და დასავლეთისკენ გავემართოთ. აი ეს ბალგანეთის მთაგრეხილია, ან როგორც ბულგარელები ეძახიან მას, — სტარა პლანინა. იგი შავი ზღვიდან ბულგარეთის უკიდურეს დასავლეთამდევ გადაჭიმული და ერთმანეთისაგან ჰყოფს ჩრდილოეთ და სამხრეთ ბულგარეთს.

ბალგანი მუდამ თავ-შესაფარს აძლევდა ხალხის უმამაცეს შვილებს — ასე იყო დიდი ხნის წინათ, როცა ბულგარელებმა აჯანებდა მოაწვევს თურქეთის იმპერიის ბატონობის წინააღმდეგ; ასე იყო კაპიტალიზმის და ფაშიზმის დასამხობად ბრძოლის წლებში... მრავალი სამასხვრო ადგილია აქ, მთებში, მაგრამ ცველა ბულგარელისათვის წმინდათაწმინდა არ მათგანი. ბუზლუგის მწვერ-

ვალი! აქ 1891 წლის აგვისტოში დიმიტრ ბლაგოვევის ხელმძღვანელობით საფუძველი ჩაიყარა ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას. ამას გვამცნობს ბულლუშზე აღმართული თეთრი ქვის შენობა — „პარტიის ძეგლი“, იქვე, მარადიულ ცეცხლთან, რვა მეტრის სიმაღლიდან ანათებს ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

კიდევ ერთი ისტორიული სიმაღლე — სტოლეტოვის სახელობის მწვერვალი.

1877 წლი. რუსეთ-თურქეთის ომი. ბულგარეთის ლაშქარმა რუსებთან ერთად დაიკავა შივკის გადასასვლელი და მცირე რაზმით რამდენიმე თვის მანძილზე შეინარჩუნა იგი, მერე კი გენერალ სტოლეტოვის მეთურობით არნაზული იერიში განახორციელა... ამბობდეს, ვისაც ტუვია გაუთავა, ქვებს და ხის მორებს ესროლა მტერს, ხოლო როცა ქვაც აღარ დარჩა სასროლი, მოკლულთა ცხედრების სროლა დაწყესო...

თავგანწირვამ და საშობლოს სიყვარულმა სძლია მოძალადეთა ჭარბ ძალებს. დღეს სტოლეტოვის მწვერვალზე აღმართული „თავისუფლების ძეგლისაკენ“ 894 საფუძურიანი კიბე აღის... გრანიტის ლომი უდგას დარაჭად ბულგარელ და

რუს მეომართა უკვდავ ძალშესალაგს.

ბულგარეთის ისტორიის ეს გმირული, მრისხანე და დიდებული ხანა გააცოცხლა ბულგარული ლიტერატურის კლასიკებმა ივან ვაზოვმა, რომლის ნაწარმოებები ქართულ ენაზეც არის თარგმნილი და ამბათ შენც წაიკითხავ.

ახლა კი ბალკანის სამხრეთ ცერდობებს ჩავყეოთ... სტარა პლანინა მზრუნველობით იყარავს აქაურობას ჩრდილოეთის ქარებისაგან.

... ადრე დილაა. ძირს, მდინარე ტუნგის გალმა-გამოლმა გაშლილი ველი ვარდებით არის მოფენილი და გამაბრუებელი სურნელება აღ-

მოიკმედა ჩვენკენ... სა-სალებოების თუთი, მოსიყვარულე და სწრაფი თითები დაბრივი ბურქებზე და აგროვებენ ვარდს საქვეყნოდ ცნობილი ბულგარული ვარდის ზეთის დასამზადებლად. და ჩვენ გვაგონდება სიმღერა, რომლითაც ხვდებიან და აცილებენ სტუმარსაქაურები: „ბა, ჩვენებური ერთი ვარდი! დე გაგახსენოს მისმა სურნელმა ჩვენი ბალკანი, ჩვენი ზღვა და უცელა ჩვენგანი!“

აქ, ამ ადგილებში, დაიბადა პოეტი-რევოლუციონერი — ხრისტო ბოტევი. 1876 წლს, 28 წლისა, დაიღუპა იგი ბრძოლაში თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ, მაგრამ ცოცხალ ლეგენდად



ჩეკე სახის და გარების  
ხელი სამი ა სპეც. 2023 წ.



დარჩა ხალხთა ხსოვნაში. მისი უკვდავი სტრიქონები იქრის ასოებით არის ამოკვეთილი ინგლისის უძველესი უმაღლესი სასწავლებლის — იქსფორდის უნივერსიტეტის შესასვლელში. ბულგარეთში კი არც ერთი დონის სკოლა არ არის, რომ კედლებზე მისი სურათი არ ეყიდოს; მისი და — ბულგარელი ხალხს კიდევ ერთი სასახლო შვილის — ვასილ ლევსკისა.

დამონებული ბულგარეთის ერთი ქალაქიდან მეორეში, სოფლიდან სოფელში, კარიდან კარად დადიოდა იგი შვიდი წლის მანძილზე და უბრალო ადამიანებს უჭვებოდა მშვენიერ ზღაპარს თავისუფლებაზე... და როგორც თესლი დვივდება ობილ მიწაში, მის სიტყვებს იმედის, რწმენის და სიმხევების ნაყოფი გამოჰქონდა გულებზი. ხალხმა „თავისუფლების მოციქული“ შეარქვა მას, დამპყრობლე-

ბმა — „გინგიბი“, ანუ „მოუხელთებელი“. სადაც არ უნდა გავვლო, იქ მისი მიმდევრები ჩნდებოდნენ, ამბოხი მზადდებოდა... ერთხელ თურმე ჰყითხს: „ბულგარეთს რომ გავანთავისუფლებო, მეცედ ვის დავსამოთ? მან კი მოუგო: „მარტი ჩვენი მეფისათვის რომ ვებრძოლოთ თურქებს, სისულელეება. ასე უუა, ახლაც ხმამ გვყავს სულთანი. ჩვენ ბატონი კი არ გვპირდება, თავისუფლება და თანამწორობა გვინდა.“

ქალაქ კარლოვოს მახლობლად მდებარეობს ფრაკიის დაბლობი, რომელსაც სამხრეთ ბულგარეთის უმეტესი ნაწილი უჭირავს. მიაჩნიათ, რომ აქ დიდი ხნის წინათ ცხოვრობდნენ ამ მიწაწყლის პირველი ბატონ-პატრონები — ფრაკიელები. აქ არის ბოლოვი, ბულგარეთის სიდიდით მეორე ქალაქი. იგი ბულგარეთის ერთ-ერთი ულამაზესი მდინარის — მარიცას ნაპირზეა გაშენებული, შვიდ ბორცვზე, რომლებიდანაც ყველას თავის სახელი და თავისი ისტორია აქვს. „შვიდი ბორცვის ქალაქის“ ერთ-ერთი სიმბოლოა მეორე მსოფლიო ომში ბულგარეთის განთავისუფლებისათვის დაღუპუ-

ლი საბჭოთა ჯარისკაცის ძეგლი. მას აქაურები „ალიოშა“ ეძახიან.

პლოვდივის მახლობლად, სოფელ ბაქუმოში მდებარეობს მონასტერი, რომელიც ქართველებმა — ძმებმა გრიგოლ და აბაზ ბაკურიანის ძეგლი აშენენ. აქ მოლვაწეობდა XI საუკუნის დიდი ქართველი მეცნიერი იოანე პეტრიშვილი. თურქების ბატონობის წლებში ბაქუმოს მონასტერში გადამატული პეტრიდათ ძევლი ბულგარული წიგნები და ხელნაწერები. დღეს ბაქუმო მსოფლიო მნიშვნელობის კულტურის ძეგლია.

ახლა კი საგზაო მაგისტრალს „ფრაკიას“ გავჰკვეთ და ბულგარეთის დედაქალაქში — სოფიაში ჩავიდეთ. როგორც ქალაქის გერბზე წარწერილი დევიზი გვამცნობს. იგი „იზრდება, მაგრამ არა ბერდება!“ არ ბერდება ისევე, როგორც მისი მშვენიერი ტრადი-





ციები... აი ჭრელ-ჭრელ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი გოგონები ხელებზე გადაცენილ ამოქარეულ ხელსახოცე დაწყობილ თბილ-თბილ პურს და მარილს უწვდიან სტუმრებს, მერე კი შავთვალა გოგონა ქალაქის გასაღებს გაწვდით, მობრძანდით, ჩვენი ქალაქის კარი ღიაა ყველა მეგობრისთვისო. და აი, თოვებს უფრო მხიარულად და გულითადად აჩხირი-

ალდნენ თავისუფლების პარკის შადრევნები, თოვებს ფრთები შეარხიეს ფართო ხიდის მცველებად გარინდებულმა არწივებმა და გზა დაგვილოცეს სოფიის გასაცნობად. აი, საბჭოთა არმიის ძეგლი, აგრე კლიმენტ ოხრიდელის სახელობის უნივერსიტეტი, რომელიც მალე ასი წლის იუბილეს აღნიშვნას, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო „სახალხო კრება“, რომლის კარზეც წარწერილია „ძალა ერთობაშია“. ესეც ქალაქის ცენტრი — „ესექტებრის მოედანი“ — მის ცალ მხარეს ყოფილი სამეფო სასახლეა — დღეს სურათების გალერეა, მეორე მხარეს კი



— თეორი მავზოლეუმი, რომელშიც განისვენებს ბულგარელი ხალხის საამაზო შვილი, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთ-ერთი ბელადი გიორგი დიმიტროვი, ქვაშე მუდამ აწყვია ცოცხალი ყვავილები...  
... მალე სტუმრები წახვალო და სახსოვრად წაიღებთ ვარდების ველიდან წამოღებულ თითო სურნელოვან წითელ ვარდს.

### მურან ჯგუფერი

# ოუზალი

ერთი სული აქვს და იცდის,  
ვიდრე გავა. ზამთარი.  
გაზაფხული უკვარს უუტბარს  
და ქართული მთა-ბარი.  
მუდამ ველად დაფუნფუბებს




მუშა-ქაცის სადარი,  
არვის ერჩის, მაგრამ თუკი  
შეხვდა ვინძე აშრი,  
ნექტარს არვის არ დაუთმობს  
და საომრად მხად არი!



გივა გევრიაშვილი

„სარჩობელაზედ“  
„ივერიის“ რედაქტ-  
ციაში. „ოთარანთ  
ქვრივი“. ბინის გა-  
მოცვლა. ილია და  
ბაგშვები.

  
ოჭინის ხევის პი-  
რას მეურმეებს  
საქონელი გამო-  
უშვიათ. საღამო  
ხანს ორი ყმაწვი-  
ლი გამოჩნდება,  
ერთი თექვსმეტ-  
ჩვიდმეტი წლისა, მეორე  
კი თოთხმეტის ან თხუთ-  
მეტისა. მეურმეების თავ-  
კაცი, მოხუცი პეტრე  
შშიერ ყმაწვილებს და-  
აბურებს, ურემზე დაის-  
ვამს და წაიყვანს. ქალაქის  
რომ მიუახლოვდებიან  
და დადგებიან, — ღამეს  
გაათევინებს. დილით გა-

# ერის ჭავჭავაძე

## • 150 •

მოღვიძებული პეტრე ნა-  
ხავს, რომ ყმაწვილები  
გაპარულან, თან პეტრე-  
სათვის ჭიბეები მოუჭრი-  
ათ და რაც ჰქონია, წა-  
ულიათ.

ამის მერე ოთხი წე-  
ლიწადი გავა. თბილისში  
წისევილის ქვების საყი-  
დლად ჩამოსული პეტრე  
შუალედისას ავლაბრის  
მოედანზე გადის, სადაც  
ბევრი ხალხი ირევა. ამ  
ხალხისგან ის შეიტყობს,  
რომ ავლაბრის მოედანზე  
კაცი უნდა სიკვდილით  
დასაჭირო ჩამოახრინ,  
მაგრამ პეტრეს არ სხე-  
რა — კაცს ასე როგორ  
გაიმეტებენ; თუმცა  
კულაციერი მის თვალ-  
წინ ხდება — მოიყვანენ  
ყმაწვილს, რომელიც მას  
რაღაცით ეცნობა, ფარა-  
გას გახდიან, პერანგს გა-  
დაცვამენ, თავს უულფ-  
ში გააყოფინებენ და კი-  
ბეს გამოაცლიან... მხო-  
ლოდ მაშინ მიხვდება პე-  
ტრე, რომ კულაციერი  
ნამდვილი იყო, როცა იმ  
წერილს წაიკითხავს, ვი-  
ღია და ნაბადში გახვეული  
კაცი რომ გადასცემს.

მოთხოვთა „სარჩობე-  
ლაზედ“, რომლითაც  
ილია ილაშქრებს სიკუ-  
დილით დასჯის წინა-  
აღმდეგ, მან 1874 წელს  
დაწყრ, როცა „ივერი-  
იის“ რედაქტორი იყო.

„ივერიის“ რედაქტია  
ერთხანს ილიას დის,  
ელისაბედ საგინაშვილის  
სახლში იყო. ეს სახლი  
კალინინის ქუჩაზეა,  
შეიდან ნომერში. ამ შე-  
ნობაში დაბლა გაზეთის  
სტამბა იყო, მაღლა კი  
რედაქტია, და რედაქტო-  
რიც იქ ცხოვრობდა. მა-  
რცხენა კარი გაზეთის რე-  
დაქტიაში შედიოდა, მარ-  
ჯვენა კი — ილიას სად-  
გომში, ილიას ოთხის  
ჭერზე გამოხატული იყ-  
ვნენ ქართველი მეფეები:  
დიმიტრი თავადადებუ-  
ლი, თამარ მეფის შამა —  
გიორგი III, დავით აღმა-  
შენგებელი, ლუარსაბ II;  
კელლებზე მკიდა ვახ-  
ტანგ გორგასალისა და  
მეფე ერეკლეს სურათე-  
ბი, აგრეთვე მხატვარ გი-  
გო გაბაშვილის ნახატე-  
ბი. ოთხში იდგა შექსპი-  
რის ბიუსტი, იყო რუსთა-

ველის, გოეთეს და გარიბალდის სურათები.

კედლზე მიმაგრებულ შვლის ჩქებზე ილია თავის წითელფუნგიან ქუდს ჰყიდებდა. მაგიდაზე მუდამ იდო გადაშლილი წიგნი, გლობუსი, საანგარიშო, სათვალე, ვეებერთელა წითელი ფანჯარი, ეყარა გაშლილი გაზეობი...

ილიას დაუღალავი მუშაობა სცოდნია. თურმე თვალს არ მოხუჭავდა, სანამ ახალდაბეჭდილ გაზეთს არ ამოუტანდნენ.

მუშაობის დროს ილიას არც ჭამა უნდოდა და არც სმა. მეუღლე — ოლდა, როცა ილია მუშაობდა, მის კაბინეტს არ

ეკარებოდა და თუ შეძედავდა, ფეხაკრეფით შევიდოდა, ერთ ფინჯან ყავას ან ჩაის და პატარა ნაჭერ პურს დაუდგამდა და ისევ ფეხაკრეფით და ხმისამოულებლად გაბრუნდებოდა. ბევრჩერ დაუჩივლია, დამე წამოვდგები, ილიას ოთახთან მივალ, კარს ცოტათი შევაღებ, მინდა შევიტყო, ხომ არა უნდა რა, ვხედავ, ტახტზე წამოწოლილა გაუხდელი და ხძინავსო.

სოფრომ მგალობლი-შვილი იგონებს:

„ერთ დილას მივედი, ილიას სამწერლო კაბინეტიდან სინათლე მოჩანს.. მე ჩუმად დავჭიქ და გა-

ზეობს დავუწყე კითხვა, მაგრამ გაშეოთის ფაჩუნძე შეიტყო, რომ რედაქცია-ში ვიღაც იყო.

რომელი ხარ მან-და, — შემომეკითხა ილია. მე გამოვეპასუხე.

— კაცო, რა დროა? განაჭერ არ წასულხარ სახლ-ში? მე ვუპასუხე, რომ უკვე გათენდა და აგერ მეათე საათია. მხოლოდ მაშინ შეწყიტა მუშაობა და თავის მსახურს, მაქსიმეს უსაყვედლურა: კაცო, რაზე ჩამკალი, რატომ არ დამეხმაურეო.

ასეთი თავდავიწყებული მუშაობით დაუწერია ილიას ხუთ დღეში მოთხოვბა „ოთარაანთ



ქვრივი“, რომელიც 1888 წელს დაბეჭდილია „ივერიაში“. დაბეჭდილი მას ეს მოთხრობა წაუკითხავს ცნობილი საზოგადო მოღვაწის, დავით სახაჩიშვილის სახლში (ახლა ამ სახლში, მართალის ქუჩის 13 ნომერში, მწერალთა კავშირია); რვა საათზე შექრძილან ცნობილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, კოთხვის მერე ყველას თვისი აზრი გამოიუთვამს. ბოლოს მასპინძელს ყველანი ვაშშად მიუწვევია. სუფრას რაფიელ ერისთავი გასძლოლია, ავტორი ლექსისა „სამშობლო ხევსურისა,“ თქვენ რომ ყველამ ზეპირად იცით.

„ივერიის“ რედაქციაში წაუკითხავთ ილია-ასათვის ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „შვლის ნუკრის ნამბობი“. კითხვისას ილიას სახეზე სიამოვნების შუქი გადაჭვნია და კითხვა რომ დამთავრებულა, ალფონთოვანებულს უთქვამს: „კოჭებზე ეტუობა, რა ვაჟიც გამოვა მაგ ვაჟისაგან, შორს წავა, შორს!“

ცოტა მოგვიანებით ვაჟას, „ივერიაში“ დასბეჭდდა მიუტანია „მოსუცის ნათქვამი“. ილიას რომ წაუკითხავს, დიდ-ხანს დაუიქრებული მჯდარა. მერე, თითქოს ძილიდან გამოერკვაო,

წამოუძახია: „არა, ჩვენ, ძველებმა, ახლა კალაში უნდა დაღილოთ! გზა ვაჟას უნდა დავუთმოთ!“

1902 წელს ილია ჭავჭავაძე საცხოვრებლად ახლანდელი ორგონიკიძის ქუჩაზე გადასულა.

ამ ბინის ერთ კედელზე დაკიდებული ყოვილა ფრანგი მხატვრის ორას ვერნეს ის სურათი, რომელიც ახლა საგურამოშია. ეს სურათი ფრანგი მხატვარს ბაირონის პოემა „მაზეპამ“ უკარნხა. პოლონერის პანის სასახლეში ყოფნისას მაზეპას პანის მეუღლე შეუყვარდება. განრისებული ქმარი მაზეპას გაუხედნავ ცხენზე დააკრავს და ტყეში შეაგდებს. ორას ვერნეს სურათზე ცხენი ულრან ტყეში მიქრის. ცხენზე დაკრულ ჭაბუქს თოკებგადაჭერილი ხელებიდან სისხლი მოხთქრიალებს. უკან მგლები მისდევენ და მათი თვალები ცეცხლს აფრივევენ წყვდიადში. ბაირონის პოემაში ცხენი თავს დააღწევს ტყეს და ჭაბუქს საშვიდობოზე გაიყანს.

საერთოდ, ილიას სურათები ჰყვარებია და მის საწერ მაგიდასთან კედელი მუდამ სურათებით ყოფილა მოცეკვილი. მის კაბინეტში, დგიმზე, თავისუფლების ქანდაკება ყოფილა აღმართული. ახალი სახლის ეზოში

ილიას თავლა და პატარა ბინა აუგია სოფლიდან ჩამოსული გლეხების დასაყენებლად.

ილიას მეტიისმეტი გახალისგა სცოდნია ახალი წლის დღეებში. საასალწლო სამზადისში თურმე სულ ოლასთან ტრიალებდა, გონინაყის მოდულებაში მონაწილეობდა.

ილიას ძალიან ჰყვარებია ბავშვები. ბავშვებს ართობდა და თვითონაც ერთობოდა. ჭიბის საათი ჰქონდა თურმე, რომელიც მარსელიერებას უკრავდა. გაბუტულ ბავშვს ყურჩე ამ საათს მიადებდა თურმე და გაახლისებდა. ცნობილ საბავშო მწერალს ნინო ნაკაშიძეს ერთი მოთხრობა აქვს. პატარა ბუთხუზა ბიჭი ფეხის წვერებზე დგას დიდი სახლის კართან და ცდილობს, როგორმე ზარის ლილაკს მისწვდეს. დინჯად მიმავალ ილიას შეცოდება ბიჭუნა, ხელში აიყვანს და დაარკინებს. ჩქარა, ჩქარა, გავიქცეთ, თორემ გაგლობავენო, უბნება ბიჭი ილიას და გარბის. ამ დროს კარი მძიმედ გაიღება, მასპინძელი გაიხარებს ილიას დანაციონ და ეკითხება: რას უნდა მივაწერო, ჩქე იხახში რომ მობრძანდითო. აი, იმ ბიჭუნას, რომ მირბისო, სიცილით ეტყვის ილია.

## კულტურის მაღლი, კულტურის აღინიშნი კუმარი

გაზაფხული მიიწურა თუ არა, თამთა და დედამისი ავტობუსში ჩასხდნენ და სოფელში გაემგზავრნენ.


ერთი სათის შემდეგ ავტობუსი სოფლის განაპირობის ჩატარა კელტე გატერდა. ჯერ დედა ჩამოვიდა, მერე კიდოც კეთილმა ძიამ თამთა ჩამოასკურა. გოგონას მაღლობა უნდა ეთქვა, მაგრამ სიტევა გაუშედა, თვალებიც ერთი-ორჯერ დახუჭა და გაახილა — ირგვლივ ეკელაფერი მწვანედ, ლურჯად, წითლად, ეკითლად, თეთრად და ვარდისფრად ფიციიმებდა... უცებ, ბზტე... ჩაიტეჭენა დიდმა კრისანას და თამთა, როგორც იქნა, გამოვხიტლდა. იქვე დედა იჯდა ეავისჯერ ჩემთდანხე და იღიომებოდა. გნის-ზირზე დაქმარის ეკავილები დივლივებდნენ ლურჯად, აქა-იქ წვრილი გვირილები ანათებდნენ ეკითედ გულებს, ჰაერში ნემსი-ელაპიები დაქროდნენ ვერტმურენებივით, ახლად დაბადებული ჭრელი ჰეჭლები დაფარფატებდნენ უთავბოლოდ, მაგრამ ეკელაზე დიდი საოცრება აღისფერი ეაქახოების ზღვა იყო. თამთამ მოსაწევებად ვაიწია. მაგრამ დედამ შეაჩერა: იუვნენ, შეიღო, რას გიძლიან, ასე უკეთესი არ არის? რომ დაკრეუ, სახლში მისვლამდე დაიფურცლებიან, აქ კი, სედავ, როგორ უხდებიან გზისპირებს. თამთამ მაინც მოწევიტა ეკელაზე მაღალი და ეკელაზე აღისფერი ეაკახო. რამდენიმე წუთში ეაქახომ თავი ჩაპარდა. თამთა დაღონდა. სახლში მივიდნენ თუ არა, ეაქახო წელიან ქილაში ჩადო, ეფერა, ეჩურჩულა, მაგრამ ეკავილმა სულ მაღლ ფურცლები ჩამოეარა და მოკვდა. მაშინ დედამ თამთას ფანჯრიდან მწვანე ფერ-

დობი დაანიხა და უთხრა: დიდი ხნის წინათ, აი, იმ ფერდობზე, გაზაფხულობით, ეკელაზე ლამაზი ეაქახოები იხტერდებოდნენ, მე კი მათ ძირიანად ვთხრიდი და ჩემს ეზოში ვრგვედი, მინდოდა, მარტო ჩემი ერთილი-ეგნენ. დედა მეუბნებოდა: — ნუ შევი, მაგან, შეილო, ეაქახო სხვაგან ვერ გაძლებს, ასეთი ჩვევა აქვს, სადაც დაბადდა და აუკავდა, იქ უნდა იცხოვოოს, თესლიც იქვე უნდა დაუაროს, რომ მეორე გაზაფხულზე კიდევ მეტად გამრავლებს და მოეფინოს არემარესო. მე კი არ კუჯერებდი, და ხომ ხედავ, ამ ფერდობზე უკავ ადარ ეკავიან ეაქახოები.




## ლეილა თოჯინები

ჩაბანა და ჭრები  
შეკვერადა ხელიდ,  
ოღონძ არ გაცილენენ,  
არ უტევდეთ ჩეულა.  
დუღურცხება თმები,  
გზორჩოება უკელა,  
ამაგს, თოჯინები,  
გრძნოვნება უკელად,  
ლოუა დაკეტა,  
სახე უტევდა,  
და პატარა ლელა  
გურულება ლიტა.



## სეილო

არ შექვენის სტეში-სტეჭი,  
დააბორტებს დახუად ხეილი,  
არც თავისი წინა ჭრიანს,  
არც გრძელი ხირთუებს არ თავილობს.  
სიუკერებულით ჟერეს ბაღდებს,  
თუმცა ჰიდგერ გაიხემრის  
და ხორთუების წუწუს განტბოს,  
ჰიონის ციცენა ხეტერებს,  
მერე გულის სედება თეღო,  
მერე გულის სედება გახ:  
— არ, როგორ გაგვისუა,  
რა დაბალი გობე გვნახა!  
უფობისუები ილის ბილა, —  
უცემენიდა სერს ილა,  
უცემენიდა გელს ხელა, —  
უცემენიდა გელს ხელა,  
უცემენიდა სერს ბელა,  
თვითონ სხილო სელა არ ღელავს,  
თვითონ სხილო სელა არ ღელავს.  
გვას თავისის და ხორთუები  
გვას გულის გელილოდ.



## ანამი და ხევინეთელა

ზღვის სიდიდე არ ჟევირს,  
ცის სიდიდე არ ჟევირს,  
ციცენა დიავინათულამ  
გაარცა ინტერი.  
ციცენი-ციცენი-ციცენიმით  
თითოეს უახლოვდება,  
მერე — უცებ იცილებს,  
მერე — უცებ შორდება.  
მისევე გრგო ჟელობინით,  
ეპლ-ბარდი გათვლა,  
როგორც ღიძილს დობილი,  
ექმობს ციცინათულამ.

## რო მტრგბი!

აიჭრა და აიღამბა  
აბრეგუშიძე, ჩითა, ბამბა,  
უფროს ატის ქბა,  
გერმას ქბა, ტექილის ქბა.  
— რა გარგა!  
— აბა, აბა!

— ტა, ტა, — უქა ჩიტმაც და  
მაქმაქბები მიინაბა.

— ტა, ტა, — უქა ჩიტმაც და



## კევლორგა 70

მახარელუცად ახალი წლის  
მობრძანება მთიდან ბარში,  
გაღაღებით და გასაღასდით,  
თოვლის უაქტი — შეკიდობაში!  
მაგ წარიგით ახაული,  
მაგ უვალივით ჩახაული,  
ჩიტის ურთებით, ჩიტის თაჭმლით,  
განახტებით — შეკიდობაში!  
შეის მარმარით, ქრის ტაძოთ  
სახურინა აფრიცებს აძლინი,  
სიხარული გელდი ბავჭისი —  
ეს ზაფულიც შეკიდობაში!  
სხვა ბარქით, სხვა სურნელით,  
საქე გიდლით, საქე ბორნით,  
შემოდგომაც სახურული  
ოფენითის ღებას, აფენითის გოდის.  
იმრანება მშენის წენები,  
შეკედავერი — ხილები,  
შეკედავერი — ხილები!

# გეჯიბაი

ცას არწივის ორი მართვე სერავდა. ისე დიდებული საცერი იყო მათი ფრენა, რომ მთელი ტკე სულგანაბული და თავაწეული შექმნაროდა. ხეთა კენწერობიც ალრ ცახცახებდნენ და ყვავილებსაც ცისკენ აეღლერებინათ ყელი. ვერავინ იტყვის, პატარა არწივები გრძნობდნენ თუ არა ამ საყოველთაო ალფრონვანებას. ერთი კი იყო, ლალად ფრენდნენ, მერე თითქოს ერთ ადგილას იყინებოდნენ და ის იყო უნდა დაშვებულიყვნენ, რომ ხდებოდა პირიქით — ზევით და ზევით იწევდნენ, თითქოს უჩინარდებოდნენ, და პა, ისევ ლამაზად გაშლილი ფრთებით მოევლებოდნენ ცარგვას.

მართვეები ყოველდღე ასე ფრენდნენ... და აი, მოხდა, რომ ერთმანეთში წაკინკლავდნენ. წაკინკლავდნენ და გაიბუტნენ. როგორც ყველა ჩეუბი და უსიამონება, მათი გაბუტვაც სულელური, არადჩასაგდები მიზეზით დაიწყო.

ერთ-ერთი მართვე რაღაც ვერ იყო გუნდგაზე და მეგობრის თხოვნაზე, მოდი ვიფრინოთ, უარი უთხრა. მოკლედ, არ აყვა. არ აყვა და ამ მეორე მართვეს ეწყინა. მერე ადგა და უსაყვედურა, რატომაა უარს რომ მეუბნები, არ გახსოვს, შენი დანაშაული მე რომ დავიბრალე.

პირველ მართვეს არ ახსოვდა. ან საიდან უნდა ხსომებოდა, როდესაც ახეთი არაფერი მომხდარა.

— დაიბრალე? რა? როდის? — მაინც დაეჭვებულმა იყითხა, — აბა, მითხარი, როდის?

— ათი დღის წინათ, — არც ამოუხედავს, ისე ჩაბიუბუნა მეორემ და თავისი ტყუილი თვითონვე რომ დაეჭერებინა, დააზუსტა, — თორმეტი დღის წინ.

— ტყუი! — წამოიძახა პირველმა, — ტყუი, და არც გრცხვენია... თავს ჭრი გვარს, გიშს ამ დაუჭერებული სიცრუით... მერე რისოვის, — მოულბა, იფიქრა, ისევ

დათმობით ვაჭობებო, — მერე რისთვისჭევა

იმიტომ, რომ ფრენა არ მინდა?

დიახაც, ამისათვის, დიახაცო, თავის-თვის გაივლო გულში მეორე მართვემ და უკვე საკუთარ ტყუილზე გაბრაზებული უცებ აჭრა ფრთების ტყლაშუნით. მერე თითქოს გაიყინაო, ზემოდან დააცხრა ჭა-მაში გართულ თაგვს. მართვეს სულაც არ შიოდა, ისე თავის თავზე გულმოსულმა ჩაიდინა ეს. საწყალი თაგვი უმწერდ აწრი-პინდი. ისევ ზევით და ზევით მიიწევდა მართვე. მერე უცებ უშვა კლანჭი თაგვს და შიშისაგან აცახცახებული და კუდ-დაგრძელებული წრუწუნა ჩაბზრიალ-ჩა-





ტრიალდა და პირველი მართვეს წინ აშოლტილი ხის ტოტებზე სტუნგა-ხტუნგით დაეშვა. ზოგი ნედლი ტოტი ოდნავ ჭემოთაც აისროლა ხოლმე თაგვას, რომელიც მთლად უვნებლად დასკუპდა მიწზე, მაგრამ ზიშისაგან გაოგნებული კარგა ხანს გონს ვერ მოვიდა.

ახლა პირველი მართვე გაგულისდა და აიჭრა ცაში. თაგვი რა არისო, ფიქრობდა, თაგვი რა არისო და ნელა ზევრავდა ტყეს.

ტყის ბინადარნი ველარ ტკებოდნენ მართვეთა ფრენით. სოროებსა და ფუღუროებში შეუყულები გასუსულიყვნენ.

პირველი მართვე კი ზევრავდა ტყეს. ასე, მაძღარ კუჭზე უვარდა ზემოდან ტყის ცეკრა. როდესაც არაფერი ალუძრა-

ვდა მადას, ქვემოთ სიმწვანეში აფეთქებული სიცოცხლე და შვენიერება თვალს სიამოვნებდა. არც ახლა იყო მოშიებული, მაგრამ ტოლის მონადირებულმა თაგვმა დავიწყა სილამაზე. ალარაფრად ეპიტნავებოდა აშრიალებული ხები, აფერადებული ბუჩქები და აქ-იქ მოცუნცულე ცხოველები. უცებ მოწყდა და კურდელს სწვდა. ნელ-ნელა აიწია ცისკენ. გზადაგზა ნადავლა მომირჩვა და როგორც კი იგრძნო, ჩემმა მეტოქებ დამინხაო, ზიზლით უშვა კლანჭი. მოხდა ისევ საოცრება. თაგვზე არანაკლებ გაოგნებული და შეშინებული კურდელი ნაყარ ფოთოლზე დაეშვა აბილად. ცოტა ხნის შემდეგ, როცა შეინძრა, გაუკირდა, ცოცხალი ვყოფილვარო.

გრძელდებოდა მართვების შეგიბრი. ხან რომელი ცხოველი მოფრინავდა ციდან და ხან რომელი. რა ოქმა უნდა, ყველა შვიდობიანად ვერ ეშვებოდა და იყო ტყეში ერთი გლოვა და ტირილი.

ამას ისიც დაემატა, რომ როდესაც მართვები შეგიბრით მოლლილები ისვენებდნენ, მიმინოები და შევარდნები ერკინებოდნენ ერთმანეთს... ტყეს ცრემლი არ აშრებოდა. ახლაც ხშირად იცქირებოდნენ მისი ბინადარნი ზემოთ, ოღონდ სადღა იყო ის აღფრთოვანება, მართვეთა ლამაზი ფრენა რომ იწვევდა. ყველა ცხოველსა თუ ფრინველს შიში ჩასდგომოდა თვალებში.

ამ შევარდნებმა და მიმინოებმა ხომ მთლად აკლეს არემარე. მერე საიდანლაც მოსულმა ყვავებმაც არ დაუდეს მათ ტოლი.

ასეთ დროს ყოველთვის გამოჩნდება ვინმე დინჯი და ჭიკვანი. ასეთი ამ ტყეში ბუ აღმოჩნდა. ბუ არც ყვავების ხნისა იყო და არც არწივებივით ძლიერი, მაგრამ მას მარტო საკუთარი თავისა და ოჭახის ბედი არ აწუხებდა, ტყე მთლიანად ეციდებოდა. ადგა ეს ბუ და მართვებს სთხოვა, ორთავე მომისმინეთო.

დამე იყო. მოგეხსენებათ, ბუ ღამით ფეხილობს და ახლადგალიძებულ მარ-

თვეებს მაინცდამაინც დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, ისიც უნდა ითქვას, ბუს პირველი სიტყვები ვერც გაარჩიეს, ისე ჩაგუდული ბუყბუყით წარმოთქვამდა. საბედნიეროდ, რაც მთავარი იყო, გაიგხეს. აი, რა უთხრა ბუმ:

— თქვენ ამ ტყეში ყველაზე ძლიერები ხართ და აწი უფრო გაძლიერდებით. ყველა თქვენ გბაძავთ. თუ შეამჩნიეთ, ყვავებიც კი ცდილობენ რაღაცით გაგოროლდნენ... დიახ, ბოროტებაში მიბაძვა გატოლებას ნიშნავს... მოდი, მენდეთ. აბა სცადეთ კეთილ საქმეში გაჭიბრება... არა, არ იიქტოთ, არავინ ეცდება თქვენს წაბაძვას, მაგრამ ეს ნუ შეგაშინებთ, თქვენს მიერ ქმნილი სიკეთო სხვაა... არ ჭობია, ამაში მოგბაძონა!?

მართვები უსმენდნენ და ფიქრობდნენ, რომ სწორს ამბობდა ბუ. მერე ისიც ხომ იყო, რომ საჩხუბარი და გასაყოფი არავერა, ჟქნდათ. ამ შეჯიბრ-მეტოქეობაში წამოზრდილიყვნენ კიდეც და ახლა კარგა ხნის უნახავები გრძნობდნენ, როგორ მონატრებოდათ ერთმანეთი. მერე ორივებ ბუს შევლლო თვალი და გაეღიმათ. ბუს ჩასძინებოდა, თავი ჩიმოეგდო, მაგრამ ბუყბუქ მაინც აგრძელებდა:

— თქვენ ყველაზე ძლიერები, ყველაზე სახლოვანი წინაპრების შთამომავალი ხართ... სიკეთეში თქვენი შეჯიბრება სულ სხვაა...

მზე მთაზე წამომჯდარიყო.

უცებ თითქოს ნიშანი მისცესო, ისე აიშალენ არწივები, ტყუპად აიჭრენ ცისფერ უსასარულობაში და ცა მორკალეს. ჰა და ჰა, მზეს მიუახლოდნენ, ოქონს-ფრად აელვარდნენ. უფრო და უფრო ზევით მიიშვდნენ-ორთავეს ერთი საფიქრალი გასჩენოდა, რა სიკეთო მოემოქმედებინა.

ტყე გასუსტლიყო.

ისევ თავაწერული შესცემეროდა ნადირ-ფრანგელი ორ აქროსფერ არწივს. მზე და კეთილის ქმნის სურვილი აელვარდნებდა მათ და რადგან სურვილი იყო, სასიკეთო საქმეს წინ რაღა დაუდგებოდა.



ალექსანდრი ტაბათაძე

## ერქონდარა ერდარა

ერთხელ თურმე ერთ ბოსტანში ისეთი რამ მომხდარა, გაუცნია მთელ ქვეუანას ქოქონდარა ქონდარა.

ქოქონდარა გვარი არის,

ქონდარა კი — სახელი,

პროფესიით გვარიანი

გაზლავთ პარიგმახერი.

დიდ-ბატარას კრებავს მუქთად,

ღიღინებს და ხალისობს,

აი, სწორედ მასზე უთქვამთ

ოქრობიჭი არისო.

გაზაფხულის დიღა იდგა,

ცხრათვადა მზე ნათობდა,

ქინბს და ნიორს, ხახვს და შიტნას

ერთნაირად ათბობდა.

მაგრამ უცებ ღობის გასწვრივ

აღრიაღდა სუნები:

— მუამენ! ნჭამენ! მოგემდი კაცი!

მახრებობს ვიდაც სულელი!  
 შეაჩერა ბიჭმა კრებვა,  
 გაიხედა, ეცნობა:  
 სულელს ხარბა ჯამდა ღიჭა,  
 იქვე იეო ლენცოფაც,  
 შორიახლოს სხვებიც ჩანდნენ  
 სარეველს ჯიშისა,  
 კერც ხოჭოებს და კერც მახრებს  
 ხმას კერ სცემდნენ შიშითა.  
 მე სტაფილო მოძაროდე! —  
 მბრძანებლობდა ლენცოფა, —  
 სურც თალვამებს შეიცოდებთ!  
 ამა ეგ რას მეუოფა!  
 — და ბიჭს უცებ გაასხენდა.  
 /სიხარულით ცას სწვდება/,  
 რომ ლენცოფა ხელად პედება,  
 თუები გალამაზდება.  
 დაიმახა: — მოითმინეთ,  
 მომისმინეთ, ბიჭებო,  
 მახრებო და ხოჭოებო,  
 ლენცოფებო, ღიჭებო!  
 მე ხეთ წუთში ამ მაკრატლით  
 თქვენს ბრძენთაბრძენ ბელადსო  
 ისე გავკრეჭ, სილამაზით  
 რომ სჯობნიღეს ეველასო.  
 და ლენცოფაც წინ წამოდგა,  
 რჩებას არ დაუცადა,  
 მოიღერა თავი კოხტად,  
 გამკრიჭეო, უბრძანა.  
 ბიჭი მასთან გაჩნდა ხელად,  
 მიესალმა თავდახრით,  
 ეურს აკლია, იცის, ბელადს,  
 და ხემაღლა ჩახმახის:  
 — რა თავი გაქვეს! ჭკუით სავსე!  
 რა ლამაზი, რა ბრძენი! —  
 დააკოლა ხუმად ასეც:

— არის თივის საბძელი.  
 ბიჭი კრებავს, ბოსტანში კი  
 ხმა დაირხა მრისხანე:  
 — მოდალატე არის იგი,  
 გადავიდა მტრის მხარეს.  
 — აა, რას ამბობთ, თქვენ ქონდარა  
 არ გცნობიათ ხრულიად,  
 მას დალატი წუთითაც კი  
 გულში არ გაუვლია.  
 ბიჭი საქმეს უცებ მორჩა,  
 იუთხადა ძალიან,  
 გაკრეჭილმა ლენცოფამ კი  
 სული წამში დალია.  
 დაფრთხა მტერი უბელადო,  
 გარბის ქუდმოგლეჭილი....  
 — გაწედა თქვენი ჯიში! — ევირის  
 გზის გადაღმა ჯეკილიც.  
 ხომ გითხარით, ერთ ბოსტანში  
 ისეთი რამ მომხდარა,  
 გაუცნია სულ ერთ წამში  
 მთელ ქვეუასს ქონდარა.



ლით აღარ იყო.

იმ ზაფხულსაც პირველი ბროლია შემოეგება ზურიკოს და მერე წუთით აღარ მოსცილებია.


პაპამ ახალი გასართობი გამოუძებნ მეგობრებს, კვირაში ერთხელ სამწყესურში დაატარებდა. ზურიკოს გარიურაჟზე ადგომა, ცოტა არ იყოს, უჭირდა, მაგრამ როგორც კი პირზე ცივ წყალს შეისხამდა, იმწამსვე ფხიზლდებოდა, სწრაფად შემოიჩენდა ბროლიასთან ერთად მთელ უბანს და ძროხებს გამორეკავდა. წინ ბებიას ჭიშიან „ცურიას“ გაიგდებდა და ბავშვებთან ერთად ნახირს საბალახოდ მიერეკებოდა.

სოფლის ვიწრო შუქებში ადვილი იყო საქონლის დამორჩილება, გაშლილ მდელოზე კი ბევრი სირბილ უწევდათ პატარა მწყემსებს. განსაკუთრებით ერთი შავი ძროხა აწვალებდათ. საძაგელი არც ღობე-ყორეს ერიდებოდა და არც ეკლიან ჩირგვებს. წინ გაიჭრებოდა და, აბა თუ ვაჟკაცი იყავი, გადადგომოდი. იმ თავასულ ძროხას ნახირიც კვალში მიჰყვებოდა და პატარები ოფლში იხვითქებოდნენ.

თუმცა ძალიან იღლებოდნენ ბავშვები, მაგრამ სამწყესურში სიარული მაინც მოსწონდათ და თავიანთ გაჭირვებას არავის უმხელდნენ.

სრულიად შემთხვევით ბროლიამ უშველა ჭავშვებს.

ერთხელ ზურიკომ შესაშინებლად ქვა ესროლა თავგასულ ძროხას, ბროლიამ კი ის ქვა უკან მოურბენინა. ეს იყო და ეს. ამის შემდეგ ზურიკოს აღარ უჭირდა წინგაჭრილი ძროხის მობრუნება. აიღებდა ქვას



გიორგი კაპარავა

## ბროლია და ზურიკო

ზაფხულობით უველა ბავშვივით სოფელში მიუხაროდა ზურიკოს. იმდენი საინტერესო რამ ელოდა იქ, რომ ქალაქში რა გააჩერებდა. ბებოს და პაპას რომ თავი გავანებოთ და ტოლ-მეგობრებიც დავივიწყოთ, მარტო ბროლიასათვის ლირდა სოფელში დასვენება.

ერთგული ბროლია, სადაც არ უნდა ყოფილიყო, როგორც კი ზურიკოს ხმას გაიგონებდა, აქმშინებული მოვარდებოდა და ზედ ახტებოდა. შემდეგ უთავბოლო სირბილს მოჰყვებოდა, ხან მიწაზე გაგორდებოდა, ხან ადგილზე ტრიალებდა, სიხარუ-

და მისკენ გაისროდა. ბროლია უეფით გავარდებოდა და სანამ ქვას პირს დაავლებდა, ძროხას აფრთხობდა უეფით, რადგანაც ეგონა, ქვაში მეცილებაო.

ზურიკოს მორიგეობის დროს საქონელი აღარ იფანტებოდა და აღარც ნათესებში გადადიოდა. ამიტომაც იყო, რომ ბრიგადირმა, ძია ვანომ, შეაქო ზურიკო.

სამწყესურაში პატარებს ფეხბურთის სათამაშო ერთი მდელო ჰქონდათ შერჩეული და ძია ვანომ ეს რომ შენიშნა, ბიჭებს უთხრა:

— თუ სტადიონი გინდათ, სოფლისპირა მინდორი ქვებისაგან გაწმინდეთო.


ბავშვები ხალისით შეუდგნენ მუშაობას, მაგრამ გადაყრიდნენ თუ არა ქვებს, ბროლია იმწამსვე უკან მოარბენინებდა. როგორ არ ეცადნენ პატარები, ჯერ „აუხსნეს“, მერე გაუწყრნენ კიდეც, მაგრამ ოქვენც არ მომიკვდეთ, მუჟაითი ბროლია მაინც თავისას აკეთებდა, თან გახარებული ყეფდა, ეგონა, მეთამაშებიანო.

სხვა გზა აღარ იყო და ბროლია დააბეს, მაგრამ ჯაჭვს შეუჩევეველმა ისეთი წკავწკავი ატეხა, მთელი უბანი აიკლო. არადა, აუზვეს თუ არა, გადაყრილი ქვები ხუთ წუთში უკანვე მოარბენინა.

რა ექნათ, როგორ მოეშლევინებინათ ბროლიასათვის ეს ცუდი ჩვევა?! დაბმაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. მის საცოდავ წკმუტუნს ვერანაირი სულდგმული ვერ აიტანდა. სხვანაირად კი სტადიონი არ კეთდებოდა. ამ უჩვეულო ამბავმა უფროსებიც კი დააფიქრა.

— მოდი, სხვა სოფელში გავაჩუქოთო, — თქვა ვილაცამ, მაგრამ ბიჭებმა შორს დაიჭირეს. რა ბროლიას ბრალი იყო, რომ ადამიანის ენა არ ესმოდა?

გამოხავალს ზურიკოს ბებიამ მიაგნო. ერთი ქვა აიღო, წიწაკით კარგად შელესა და ბროლიას დასახასავად მოისროლა. ძალი მყისვე გავარდა, ქვას პირი დაავლო... მაგრამ იმწამსვე პირი უშვა. შემდეგ დიდნანს იწკავწკავა პირდაფუფქულმა, და ამის შემდეგ ქვას აღარ გაკარებია. გულით გახარებულ ზურიკოს ბებიამ ერთი საიდუმლო გაანდო — თურმე ოდებელაც ბებიამ ასეთივე წესით გადააჩვია „მატყუარა“ საწოვარას ოთხი წლის ზურიკო.





გორის შიტკოვის

## ყვავილი

ერთხელ ნასტიას ქოთნით მცენარე აჩქექს. გოგონამ შინ მიიტანა და ფანჯრის რაფაზე მიუჩინა ადგილი.

— ფური, რა უშნო რამ არის! — თქვა დედამ, — ფოთლები პირდაპირ ენებივითა აქვს, თანაც ეკლი-

ანი. უთუოდ შხამიანი იქნება. მე მაგას არ მოვრწყავ.

— მე თვითონ მოვრწყავ, — უთხრა დედას ნასტიამ. — იქნებ ყვა-ვილები. ექნეს ლამაზი.

მცენარე უზარმაზარი გაიზარდა, მაგრამ არ უყვავილია.

— უნდა გადავაგდოთ, — თქვა დედამ, — არც ლამაზია და არც სი-სარული მოაქვს.

ერთხელაც, ნასტია ავად გახდა. ძალიან შეეშინდა, დედა ან გადა-აგდებს ყვავილს, ან არ მორწყავს და გახმებაო.

დედამ ექიმს გამოუხახა.

ექიმმა გასინჯა ნასტია და თქვა:

— ერთი მცენარის ფოთლები რომ გეშოვათ, უთუოდ უშველიდა, იცით, როგორია — თითქოს ბრტყელი და თან წვეტიანი...

— დედიკ! — წამოიყვირა ნას-ტიამ. — ეს ხომ ჩემი ყვავილია!

ექიმი მეორე ოთახში გავიდა, შე-ხედა მცენარეს და თქვა:

— სწორედ ამაზე გეუბნებოდით. ამ ყვავილის ფოთლები მოხარშეთ, ნახარში დაალევინეთ და მაღლე მომ-ჯობინდება.

— მე კი გადაგდება მინდოდა. — თქვა დედამ.

ამ ყვავილის ფოთლების ნახარში ძალიან მოუხდა ნასტიას, იგი მაღლე გამოკეთდა და ფეხზეც წამოდგა.

— აი, მე რომ კარგად ვუვლიდი ჩემს ყვავილს, იმანაც მიშველაო. — თქვა ნასტიამ.

ამის შემდეგ დედამ ბევრი ასეთი მცენარე მოაშენა და ნასტიას მუდამ ასმევდა მის ნაყენს.

თარგმა დავით პელიძე

# ჭირული უკლებელი

## განარჩენის რიგი

გიორგი გომილიძე

მწერად ნახავთ ქალაქში,  
სოფელშია ბევრი.  
ევლამდე ზის მიწაში  
დიდმუცელა .....



შოთა როდაზნელი

ალისფერად ხასხასებს,  
გათცედება მნახველი.  
ტეის ხილია და წამლად  
იხმარება .....



მხატვარი გიორგი როინევაშვილი

რ ა მ უ რ ა რ ა რ ა რ ა რ ა

## ჭირული

საქართველოს პრემია ც-0-სა  
და ვ. ი. ლენინის სახელმისი  
პრემიის მრავალიასი საბჭოს შემ-  
ნალი შემორსკლასლითათ-  
ვის.

გამოიხი 1904 წლიდან  
ხა. ქ. ც-0-ს გამომცემლობა.

მთავრი რედაქტორი  
ნევრ ნიშნავაძე

ხარევაქციო კოლეგია: მღვარდ აბათ-  
ძებ, მნახა აბათძე, დავით გაბაშვი,  
მარი დავითაშვილი, ლევადა ვარაში,  
გალა ლომაშვილი, მავალა მრავ-  
ლიშვილი, ჯანხა გაბაშვილი, მა-  
რთა რომელიაშვილი (სამსახური რე-  
დაქტორი), თაგანი ჩალავაძე (პ. მ. მდგვარი), მიზა მავალი, თავი გიორგი-  
ძე, მარია ხარატიშვილი.

ტენიარი რედაქტორი  
ნევრ ცეციონაშვილი

მიხართით: რედაქციის, გამომცემლობის,  
ხელმის — მდილით, ლევადა, 14. ტელ:  
მო. რედაქტორის 93-41-30, 93-98-15;  
პ. მ. მდგვარის 93-10-32, 93-98-18; სამხ.  
რედაქტორის — 93-98-18; განყოფილებე-  
ბის: 93-98-19,

გადახდა ასაწყობად 10.06.87.წ., ხელმი-  
წერილია დასაბუქდად 25.08.87.წ., ქადა-  
გულის ზომა 60×90'/ს, ფიზ. ნაბ. ფურც.-  
2,5. ტიაზი 180,000, ჰკვთ 1498

ყდაზე ხახაძე  
ბესტ ხიდაზელისა


«Дила» («Утро») ежемесечный жур-  
нал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинской  
Республиканского Совета Всесоюзной  
пioneerской организации им. В. И.  
Ленина для младшеклассников, на гру-  
зинском языке.

Отпечатано в типографии издатель-  
ства ЦК КП Грузии.

Главный редактор Энвер Нижарадзе  
(тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства:  
380096, г. Тбилиси ул. Ленина, 14.

Объём 2,5 печатных листа, тираж  
168.000. Заказ №1498



კოსმოსურ სივრცეში გაფანტული ვარსკვლავებიდან ერთ-ერთზე დიდი მხიარულებაა — სხვა პლანეტებიდან მოიტრენილ სტუმრებს საზეიმო აღმებით და დოლის ხმაურით ხვდებინ აქაური მყვიდრი კაცუნები და ცხოველები... ზოგი მაღლაც კი აფრენილა სტუმრების შესაგებებლად. აბა, თუ მონახავთ ერთი და იგივე პლანეტის მოსახლეთა წყვილებს.